ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3781644

ნომერი: AR1569289

თარიღი : 09.01.2018

გაცემის თარიღი : 23.01.2018

გაცნობის თარიღი : 09.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 49ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზი რეკვავა პ/ნ 01101124516
- ოჩამჩირე შ.რუსთაველის ქ. N 164

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1569289 განცხადება, რომლითაც ითხოვთ დოკუმენტაციას ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #49 ბ–ში, #01.14.07.008.017.02.528 საკადასტრო ერთეულზე საჩრდილობლის მოწყობასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას კედლების ამოშენების კანონიერებასთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლიდან დღემდე

პერიოდის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში და მონაცემთა ბაზებში ინფორმაცია #01.14.07.008.017.02.528 საკადასტრო ერთეულზე კედლების ამოშენებასთან დაკავშირებით ნებართვის გაცემის, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული შენობა–ნაგებობის ლეგალიზების შესახებ არ იძებნება. 2002-2008 წლების ინფორმაციის/დოკუმენტაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), ხოლო 2002 წლამდე - ქ. თბილისის ცენტრალურ არქივს (მის. ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქ. #4).

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს უნებართვოდ ანდა სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, რომ 2017 წლის 18 ივლისის №3359860 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი N49 ბ_ში, მოქ. მედეა დემეტრაშვილის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე (ნაკვს.N 01.14.07.008.017.02.528), საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით №3359860 გადაწყვეტილებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0 ლარის და 55 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (მე-4 სივრცე), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 11 ფურცელი.

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:

1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (AR1569289 09.01.2018წ).